ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით

სასამართლოსადმი მიმართვა

გზამკვლევი სასამართლოს მომხმარებელთათვის

სარჩევი

შესავალი 3

1. ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტი 4

2. სასამართლოსათვის მიმართვის წინაპირობები 5

3. ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვაზე განსჯადი სასამართლო..... 6

4. განცხადების შინაარსი 7

5. სახელმწიფო ბაჟი 10

6. სამართალწარმოების პროცესი..... 11

7. განცხადების განხილვის პროცესში მონაწილე სუბიექტები 12

8. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის წინაპირობები 14

9. ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების მექანიზმი 16

10. ბავშვის ქონების სასამართლოს ნებართვის გარეშე განკარგვის შედეგები 17

11. მშობლის მიერ ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული ფულადი თანხის არამიზნობრივი გამოყენების შედეგები 18

დამატებითი ინფორმაცია..... 19

როგორ შევადგინოთ განცხადება 19

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2019 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვები გახდა მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიზღუდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამოკვლევის დათქმით. საგულისხმოა, რომ საკითხის ამგვარი რეგლამენტაცია სრულიად ახალია ქართული სინამდვილისთვის. შესაბამისად, ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო კონტროლის აუცილებლობაზე მითითების გარდა, მოწესრიგებას საჭიროებს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, როგორიცაა სასამართლოსადმი მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე, სამართალწარმოების სახე, სასამართლო ხარჯების დაკისრების წესი, განცხადების შინაარსი და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი. საგულისხმოა, რომ კანონმდებელმა არ მოახდინა დასახელებული საპროცესო-სამართლებრივი ასპექტების საკანონმდებლო მოწესრიგება, რამაც წარმოშვა მთელი რიგი სირთულეები სამართალწარმოების პროცესში და გაართულა განმცხადებლის მიერ უფლების ეფექტურად რეალიზაციის შესაძლებლობა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის სტატისტიკური მონაცემებიც. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნით წარდგენილ საქმეთა თითქმის 40% უარყოფილია არაგანსჯადობის, არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ განცხადების წარდგენის, სათანადო დოკუმენტების წარუდგენლობისა თუ ინფორმაციის მიუთითებლობის საფუძვლებით.

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა მშობელთა ან კანონიერ წარმომადგენელთა დახმარების მიზნით. გზამკვლევის მიზანს წარმოადგენს მშობელთათვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვისას სავალდებულოდ გასათვალისწინებელ გარემოებებთან დაკავშირებით.

გზამკვლევი დაეხმარება მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს დაადგინონ საკითხის განხილვაზე განსჯადი სასამართლო, მოამზადონ კვალიფიციური განცხადება, ასევე გაითვალისწინონ ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც არსებით მნიშვნელობას იძენს საქმის გადაწყვეტისათვის.

გზამკვლევში თითოეული საკითხის შემოთავაზებული გადაწყვეტა წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგს.

1. ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტი

ვის შეუძლია ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა? ორივე მშობელს ეკისრება განცხადებაზე ხელმოწერის ვალდებულება, თუ ერთ-ერთი მშობლის განცხადება საკმარისია საქმის აღძვრისათვის?

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია ბავშვის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს. საკითხავია, ერთ-ერთი მშობლის მიერ განცხადებით მიმართვა წარმოადგენს თუ არა საქმის აღძვრისათვის საკმარის საფუძველს?

მშობლებს შვილების მიმართ თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვის ქონების განკარგვაზე ორივე მშობლის აზრის მოსმენა მნიშვნელოვანია ბავშვისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსათვის მიმართვისას აუცილებელია განცხადებას თან დაერთოს მეორე მშობლის ხელმოწერა ან მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილია, განცხადებას უნდა დაერთოს გარდაცვალების მოწმობა. ამასთან, თუ ერთ-ერთი მშობლისაგან თანხმობის მიღება ობიექტურად შეუძლებელია (მშობლის ადგილსამყოფელი უცნობია ან ეს უკანასკნელი თავს არიდებს თანხმობის გაცემას), აღნიშნულის შესახებ აუცილებლად უნდა მიეთითოს განცხადებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს მიერ განცხადების განხილველად მიღებაზე უარის თქმა.

რეკომენდაცია

განცხადება უნდა იქნეს წარდგენილი ორივე მშობლის მიერ. განცხადებაზე ერთ-ერთი მშობლის ხელმოწერის არარსებობისას, განცხადებას უნდა დაერთოს მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალებისას განცხადებას უნდა დაერთოს გარდაცვალების მოწმობა, ხოლო თუ ერთ-ერთი მშობლის ადგილსამყოფელი უცნობია ან ეს უკანასკნელი თავს არიდებს თანხმობის გაცემას, აღნიშნულის შესახებ აუცილებლად მიეთითოს განცხადებაში.

ბავშვის საკუთრებაში არსებული რომელი ქონების განკარგვისას მოითხოვება სასამართლოს თანხმობის არსებობა?

ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, ასევე 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვა ბავშვის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. თუ განმცხადებელი ითხოვს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით (ნასყიდობა/ჩუქება), უძრავი ნივთის უფლებრივად დატვირთვას (იპოთეკა), უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემას სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით (ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვ.), უძრავი ქონების მიტოვებას, უძრავი ნივთის გამიჯვნაზე თანხმობის გაცემას, მოითხოვება სასამართლო ნებართვის არსებობა.

ბავშვის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალების გასხვისების (ნასყიდობა/ჩუქება), უფლებრივად დატვირთვის (გირავნობა), დროებით სარგებლობაში გადაცემის (ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვ.), საბავშვო ანაბრის გაუქმებისა და ანაბარზე არსებული თანხის განკარგვის შემთხვევაში, თუ ანაბარზე არსებული თანხის ოდენობა აღემატება 1000 ლარს, მოითხოვება სასამართლო თანხმობის არსებობა.

რეკომენდაცია

განმცხადებელი, რომელიც აპირებს ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან არანაკლებ 1000 ლარის ღირებულების მოძრავი ქონების გასხვისებას, უფლებრივად დატვირთვას, დროებით სარგებლობაში გადაცემას, საბავშვო ანაბრის გაუქმებასა და ანაბარზე არსებული თანხის განკარგვას, თუ ანაბარზე არსებული თანხის ოდენობა აღემატება 1000 ლარს, ვალდებულია მიმართოს სასამართლოს ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

3. ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის განხილვაზე განსჯადი სასამართლო

რომელი სასამართლო განიხილავს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის თაობაზე განცხადებას? როგორია მისი განხილვის წესი?

საქმის აღძვრა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასაშვებია სარჩელით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – განცხადებით. სასარჩელო წარმოებისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და უფლებაზე დავის არსებობა. ბავშვის საკუთრებაში არსებული ნივთის განკარგვაზე თანხმობის გაცემის პროცესში არ არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და უფლების შესახებ დავა. შესაბამისად, ამ შემთხვევის მიმართ, სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმების ნაცვლად, ანალოგიით გამოიყენება უდავო წარმოების წესით განსახილველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ არსებული წესი. ამდენად, ერთ-ერთი მშობლის მიერ საქმის აღძვრის საფუძველია სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვა. კანონმდებლობით არ არის დადგენილი განცხადებისათვის სპეციალური ფორმა, შესაბამისად, განცხადების წარდგენა დასაშვებია ნებისმიერი ფორმით - ნაბეჭდი თუ ხელნაწერის სახით.

განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

რეკომენდაცია

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის შესახებ მოთხოვნა სასამართლოს წარედგინება განცხადების ფორმით. განცხადება შეიძლება შედგენილ იქნეს როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერის სახით.

განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილას არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, განცხადება წარედგინება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

4. განცხადების შინაარსი

როგორია განცხადების შინაარსი და ვინ უნდა შეადგინოს ის? რა მტკიცებულებები უნდა დაერთოს განცხადებას?

გაითვალისწინეთ, რომ განცხადებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის გამოყენების კონკრეტული გეგმა. აბსტრაქტული მითითება, გასხვისების შედეგად მიღებული თანხის შვილების კეთილდღეობისათვის გამოყენების თაობაზე, არ არის საკმარისი.

განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს: სასამართლოს დასახელებას, სადაც ხდება მისი წარდგენა; განმცხადების პირად მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, არასრულწლოვანთან მისი დამოკიდებულება); მოთხოვნას; ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას; სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. მოთხოვნა უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და გასაგებად. განცხადებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს არასრულწლოვნის ის ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებაც მოხდება ქონების განკარგვის შედეგად; განკარგვის შედეგად მიღებული თანხის განაწილების კონკრეტული გეგმა.

განცხადებას, რომლითაც მოთხოვნილია ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა, უნდა დაერთოს: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; განცხადების შეტანის მომენტისათვის ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (შეფასების აქტი); ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის დადებასაც აპირებს განმცხადებელი; მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ განცხადება შეაქვს ერთ-ერთ მშობელს.

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნუსხის დადგენა დამოკიდებულია ასევე ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის მიზნობრიობაზე. თუ მშობელი აპირებს მიღებული თანხით ახალი ქონების შეძენას, განცხადებას უნდა დაერთოს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს სამომავლოდ შესაძენი ქონების ბავშვის საკუთრებად რეგისტრაციის ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ თანხა უნდა მოხმარდეს ბავშვის განათლების

დაფინანსებას - ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან, რომლითაც დასტურდება სწავლის გადასახადის ოდენობა. თუ მიღებული თანხა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უნდა დაიხარჯოს - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, მშობლის შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება სხვა ქონების არსებობის ფაქტი, სადაც იცხოვრებს არასრულწლოვანი მისი ქონების გასხვისების შემდეგ.

ბავშვის სახელზე არსებული ანაბრის გაუქმებისა და ანაბარზე არსებული თანხის განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს ცნობა საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც ადასტურებს ბავშვის სახელზე ანაბრის არსებობის ფაქტს, საბანკო დაწესებულების წერილი, რომლითაც საბანკო დაწესებულება უარს ამბობს განმცხადებლის მიერ ანაბარზე არსებული თანხის გაცემაზე.

თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს, მოსამართლე უარს ეუბნება განმცხადებელს განცხადების განსახილველად მიღებაზე. ამასთან, განუმარტავს უარის თქმის საფუძვლებს, რაც განმცხადებელს აძლევს შესაძლებლობას, განჩინებაში მითითებული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ განმეორებით მიმართოს სასამართლოს.

გაითვალისწინეთ, რომ სარჩელის/განცხადების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სარჩელის/განცხადების განმეორებით წარდგენისას განცხადებას განიხილავს განჩინების გამომტანი მოსამართლე. შესაბამისად, აუცილებელია აღმოფხვრათ განჩინებაში სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული ყველა გარემოება.

განცხადების შედგენა შეიძლება როგორც უშუალოდ განმცხადებლის, ისე ადვოკატის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მას ესაჭიროება

რეკომენდაცია

განცხადება უნდა იყოს სრულყოფილი, მოთხოვნა ნათლად ჩამოყალიბებული, ბავშვის ინტერესი არა აბსტრაქტულად ფორმულირებული, არამედ კონკრეტულად მითითებული. განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის მიზნობრიობა და თანხის განკარგვის ბავშვის ინტერესთან თავსებადობის საკითხი.

განცხადებას უნდა დაერთოს განცხადებაში მითითებული თითოეული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

განცხადების შედგენისა და დოკუმენტების მოძიებისათვის კვალიფიციური იურიდიული დახმარება, მსგავსი მომსახურება შეიძლება მიღებულ იქნეს ადვოკატისაგან. დაუსაბუთებელი და არასრულყოფილი განცხადების წარდგენისას მოსამართლე უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების განსახილველად მიღებაზე.

5. სახელმწიფო ბაჟი

რა ოდენობის ბაჟს იხდის განმცხადებელი?

სამოქალაქო საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. უდავო წარმოების საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა წარმოადგენს 50 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე – შესაბამისად 100 და 300 ლარს.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ზემოთ დასახელებული თანხის ოდენობის ნახევარს. ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას დასაშვებია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება, შემცირება ან გადავადება.

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნა წარმოადგენს უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეს, რომელზეც სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. ამასთან, დასახელებული უდავო წარმოების საქმე მიეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად სამოქალაქო საქმეს. შესაბამისად, განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება და შეადგენს 25 ლარს.

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნა არ მიეკუთვნება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას. შესაბამისად, განმცხადებელმა განცხადებას უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებას არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი ან შუამდგომლობების გრაფაში მითითებული არ არის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ, განცხადება არ დარეგისტრირდება.

რეკომენდაცია

განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი 25 ლარის ოდენობით.

6. სამართალწარმოების პროცესი

რას აკეთებს მოსამართლე მას შემდეგ, რაც განცხადება მასზე განაწილდება?

სასამართლოში წარდგენის შემდეგ განცხადება გადის შემდეგ ეტაპებს:

- ✓ განცხადების განსახილველად მიღება;
- ✓ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირთა ჩართვა;
- ✓ საქმის არსებითი განხილვა;
- ✓ გადაწყვეტილების გამოტანა.

განცხადების განსახილველად მიღების საკითხს მოსამართლე წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე. განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებას მოსამართლე იღებს განცხადების წარდგებიდან 5 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ არ არის გამოტანილი განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, განცხადება ითვლება მიღებულად.

განცხადების განსახილველად მიღების შემდეგ სასამართლო ადგენს დაინტერესებულ პირთა წრეს და ჩართავს მათ სამართალწარმოების პროცესში.

განცხადების განხილვის მიმართ მოქმედებს საქმეთა განხილვის ზოგადი ვადები, რომელიც შეადგენს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვის პერიოდს.

განცხადებას განიხილავს ის მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სწავლება ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში.

7. განცხადების განხილვის პროცესში მონაწილე სუბიექტები

ვინ მონაწილეობს საქმის განხილვის პროცესში, რა სტატუსით ხდება პირთა ჩართვა სამართალწარმოების ფარგლებში, რა შეიძლება დაევალოთ საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტებს? რა უფლებებით აღიჭურვებიან ისინი?

ბავშვს აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება იმ საქმის განხილვისას, რომელიც მას შეეხება. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა არასრულწლოვნისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის საქმეზე სასამართლო უზრუნველყოფს საქმის განხილვის პროცესში ადვოკატის ჩაბმას, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი განმცხადებელსა და მშობელს შორის. ადვოკატი წარმოადგენს ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს სასამართლოში და სარგებლობს წარმომადგენლისათვის მინიჭებული ყველა, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.

ბავშვს აქვს უფლება, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც გავლენას მოახდენს მის უფლებაზე და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები. ვინაიდან ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნა პირდაპირ გავლენას ახდენს ბავშვის ქონებრივ ინტერესებზე, სასამართლო ბავშვის მოსმენისა და მისი მოსაზრებების დადგენის მიზნით იწვევს ამ უკანასკნელს.

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემა ექვემდებარება უდავო წარმოების წესით განხილვას. აქედან გამომდინარე, სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, ასევე ოჯახურ დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება და ამ მიზნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა. სწორედ დასახელებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სასამართლო ბავშვის ქონების განკარგვაზე

გაითვალისწინეთ!

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის საქმეში მონაწილეობენ თავად განმცხადებელი, ბავშვი, ადვოკატი, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. სააგენტო, ბავშვის საუკეთესო ინტერესის იდენტიფიცირებაში სასამართლოს დახმარებისა და სასამართლო პროცესის მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელების მიზნით სასამართლოს წარუდგენს დასკვნას ბავშვის ემოციური, სოციალური, საცხოვრებელი გარემოს, ეკონომიკური მდგომარეობის, ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ასევე ბავშვის მოსაზრებებს.

სასამართლო თანხმობის გაცემის პროცესში რთავს სააგენტოს დაინტერესებული პირის სტატუსით. ამასთან, სასამართლო ავალებს სააგენტოს დასკვნის წარმოდგენას ბავშვის სოციალური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის, ოჯახური გარემოს, ოჯახის წევრთა ერთმანეთთან დამოკიდებულის ხასიათის თაობაზე, ასევე ბავშვის მოსაზრებების დადგენას მასთან ინდივიდუალური ინტერვიუების ჩატარების გზით და სასამართლოსათვის წარდგენას. ვინაიდან სააგენტო სამართალწარმოების პროცესში ჩართულია დაინტერესებული პირის სტატუსით, ეს უკანასკნელი აღიჭურვება ყველა, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით.

8. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის წინაპირობები

რა შემთხვევაში გასცემს სასამართლო თანხმობას ბავშვის ქონების განკარგვაზე? ბავშვის რა ინტერესებით შეიძლება გამართლდეს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემა?

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს განსხვავებული ინტერესები. მაგ., სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, როცა განმცხადებელი მიუთითებს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ობიექტურ შეუძლებლობაზე. აღნიშნული ფაქტი კი ქმნის ბავშვის ქონების, რომელიც წარმოადგენს იპოთეკის საგანს, დაკარგვის რისკებს. ამ შემთხვევაში სასამართლო იკვლევს, რჩება თუ არა ბავშვი საცხოვრებლის გარეშე და გასცემს თანხმობას მხოლოდ იმ პირობით, თუ ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხით მოხდება სესხის დაფარვა.

განათლების მიღებისა და უკეთესი მომავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით სასამართლო გასცემს თანხმობას იმ შემთხვევაში, თუ დაადასტურებს, რომ მშობლებს ფინანსური შემოსავლის გათვალისწინებით არ შეუძლიათ ბავშვის განათლების დაფინანსება, კერძო სკოლასა თუ სხვა აქტივობებში მისი ჩართვა. ბავშვის საცხოვრებელი ადგილი არის სკოლისაგან მოშორებით, რაც ართულებს სკოლაში სიარულის პროცესს, ბავშვის საცხოვრებელი პირობები საჭიროებს გაუმჯობესებას სარემონტო თუ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების ან ახალი უძრავი ქონების შეძენის გზით. ამ შემთხვევაში სასამართლო გასცემს თანხმობას იმ პირობით, თუ განკარგვის შედეგად მიღებული თანხა მოხმარდება განათლების დაფინანსებას, ახალი ქონების შეძენას, ასევე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, თუმცა დასახელებულ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა იქნეს რეგისტრირებული არასრულწლოვანზე.

მკურნალობის დაფინანსების მიზნით ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემისას სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გართულებები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი მკურნალობისათვის აუცილებელი თანხის მითითებით. სასამართლო გასცემს თანხმობას იმ პირობით, თუ ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხა სწორედ დასახელებული ინტერესის დაფინანსებას მოხმარდება.

ბავშვის სახელზე არსებული ანაბრის გაუქმებისა და ანაბრის თანხის განკარგვის მოთხოვნაზე თანხმობის გაცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ანაბრის სრული მოცულობა, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 1000 ლარისა. განმცხადებლმა უნდა დაასაბუთოს, რომ ანაბრის შენარჩუნება არ იქნება ბავშვის ინტერესთან თავსებადი, მაგ.,

ვინაიდან განმცხადებელი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე ვეღარ ახერხებს ანაბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის შეტანას ყოველთვიურად, ყოველწლიურად, რის გამოც არ ხდება ანაბარზე საანაბრზე პროცენტის დარიცხვა.

რეკომენდაცია

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემისას აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული ბავშვის კონკრეტული ინტერესი, რომელიც ამართლებს ქონების განკარგვას. აღნიშნული შეიძლება მდგომარეობდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, ბავშვის განათლების მიღებისა და მისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ინტერესში. ამასთან, აუცილებელია დასახელებული ინტერესების არსებობა დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით.

9. ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების მექანიზმი

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემისას, მონიტორინგის რა მექანიზმი არსებობს? ვინ ახდენს ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული მიზნობრიობით გამოყენებაზე კონტროლს?

ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობას გასცემს იმ პირობით, თუ განკარგვის შედეგად ამონაგები თანხა მოხმარდება ბავშვის იმ საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც თავად სასამართლო გადაწყვეტილებაშია მითითებული. გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების შესრულების კონტროლისა და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელების წესს, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს და ამ ორგანოს უფლებამოსილებათა ფარგლებს. ამდენად, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების ზედმიწევნით დაცვა თავად განმცხადებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგი შეიძლება დაევალოს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიენიჭება საკმარისი საკანონმდებლო ინსტრუმენტები მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებისათვის.

10. ბავშვის ქონების სასამართლოს ნებართვის გარეშე განკარგვის შედეგები

რა ხდება მშობლის მიერ ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების სასამართლოს ნებართვის გარეშე განკარგვის შემთხვევაში? არის თუ არა მშობლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილი? შეიძლება თუ არა ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე შემდგომი თანხმობის მიღება?

ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა დასაშვებია სასამართლოს თანხმობით. სასამართლოს თანხმობის არარსებობა არ წარმოადგენს დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს. ამ გარიგების სამართლებრივი ბედი დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში სასამართლო გასცემს თუ არა თანხმობა გარიგების დადებაზე.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი შემდგომი მიმართვა კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლოს თანხმობის საგანს წარმოადგენს მატერიალური გარიგება. სასამართლოს შემდგომი თანხმობის გაცემისას საფრთხე არ ექმნება ბავშვის უფლებების დაცვისა და სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნას.

11. მშობლის მიერ ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული ფულადი თანხის არამიზნობრივი გამოყენების შედეგები

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ თანხას არამიზნობრივად გამოიყენებს? როგორ მიიღწევა მსგავს შემთხვევაში ბავშვის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზანი?

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

დასახელებული საკანონმდებლო დანაწესის მიუხედავად მშობელმა შესაძლოა ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხა არამიზნობრივად განკარგოს, რითაც ხელყოს ბავშვის ქონებრივი ინტერესები და ზიანი მიაყენოს მას.

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ბავშვის ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის არამიზნობრივად გამოყენების დროს ბავშვისათვის ზიანის მიყენებისას არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

რეკომენდაცია

ბავშვს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუ მშობელი ბავშვის ქონებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგავს ბავშვის ქონებას.

როგორ შევადგინოთ განცხადება

გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ინფორმაციას.

- საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ფორმას განცხადებისათვის. შესაბამისად, განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერის სახით.
- განცხადების შედგენისას გაითვალისწინეთ ქვემოთ მითითებული რეკომენდაციები.

1. სასამართლოს დასახელება

განცხადებაში უნდა იქნეს მითითებული სასამართლო, რომელშიც შეგაქვთ განცხადება. განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. განმცხადებელი

განმცხადებელი არის მშობელი ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი. განცხადებას უნდა დაურთოთ ბავშვთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი (დაბადების მოწმობა). ერთ-ერთი მშობლის მიერ განცხადების წარდგენისას, განცხადებას უნდა დაერთოს მეორე მშობლის ნოტარიულად დადასტურებული თანხმობა. თუ მეორე მშობელი გარდაცვლილია, განცხადებას უნდა დაერთოს მშობლის გარდაცვალების მოწმობა.

3. განმცხადებლის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი მისამართი)

ძირითადი მისამართი არის ის ადგილი, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებთ საცხოვრებლად. მისამართის შეცვლის შემთხვევაში უნდა აცნობოთ სასამართლოს.

4. განმცხადებლის წარმომადგენელი

განმცხადებელს შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი. განცხადებაში უნდა იქნეს მითითებული მონაცემები როგორც თქვენი, ისე წარმომადგენლის შესახებ. განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა).

5. მოთხოვნა

მოთხოვნა არის ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი (უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო კოდი, ადგილმდებარეობა) ან მოძრავი ქონების (მოძრავი ქონების დასახელება) განკარგვაზე სასამართლო ნებართვის გაცემა. უძრავი ქონების შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში დამატებით შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ცნობა შინაგან საქმეთა მომსახურების სააგენტოდან.

6. საქმის გარემოებების მოკლე მიმოხილვა

განცხადებაში უნდა იქნეს მოკლედ აღწერილი ოჯახური გარემო, ბავშვის ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური საჭიროებები, მშობელთა შემოსავალი, კონკრეტული ინტერესები, რაც ამართლებს ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას, დასაბუთება, თუ რატომ ვერ იქნება დასახელებული ინტერესი მიღწეული ქონების განკარგვის გარეშე, ბავშვს საცხოვრებლის გარეშე დარჩენის რისკები, ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის მიზნობრიობა (მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული). განცხადებაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის გეგმა. განცხადებას უნდა დაერთოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის დადებასაც აპირებს განმცხადებელი, ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (შეფასების აქტი), სამომავლოდ დასადები გარიგების შინაარსი და მითითება, რომ შესაძენ ქონებაზე ბავშვს წარმოეშობა საკუთრების უფლება.

7. სამართლებრივი საფუძველი

სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომელიც პირს ანიჭებს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

8. შუამდგომლობა

თუ პირს არ შეუძლია ცალკეულ მტკიცებულებათა წარდგენა, აუცილებლად უნდა მიეთითოს განცხადებაში.

9. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლით და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით. ბავშვის ქონების განკარგვაზე სასამართლო თანხმობის გაცემის მოთხოვნაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 25 ლარს.

10. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟისაგან ოდენობის გადავადებაზე

განმცხადებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლოა სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ნაწილობრივ გათავისუფლება.

11. თანდართული საბუთები

განცხადებას უნდა დაერთოს განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები დანართის სახით. (დანართი უნდა იყოს დანომრილი).

12. განცხადების ხელმოწერა

განცხადება უნდა იქნეს ხელმოწერილი და დაესვას თარიღი.